სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030692015597420

12 / მარტი / 2020 წ. **თბილისი #06-58/ო**

ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების **მიზნით,**

ვბრძანებ:

1. სამსახურში არ გამოცხადდეს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში-ცენტრი) დასაქმებული (მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით) პირი:
ა) რომელიც ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე ბოლო 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებულ ახალი კორონავირუსის მაღალი გავრცელების ქვეყანაში, საქართველოში დაბრუნებიდან 14 დღის განმავლობაში განმავლობაში;
ბ) რომელიც ამ ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ დაბრუნდება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნიდან, – საქართველოში დაბრუნებიდან 14 დღის განმავლობაში;
გ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნიდან ჩამოსულ პირთან ან მასთან ერთად მცხოვრებ პირთან;
დ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა იმ პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი;
ე) რომელსაც აქვს ქრონიკული დაავადება/რაიმე სახის იმუნოდეფიციტი, – ცენტრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;
ვ) რომელიც არის ორსული ქალი.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა:
ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული 14 დღიანი პერიოდი გაატაროს თვითიზოლაციის წესების დაცვით;
ბ) სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზისა და რისკჯგუფში შემავალ პირთან კონტაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ცენტრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, რომელიც ვალდებულია ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ აცნობოს ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს კონსტანტინე ოჩიგავას (ტელეფონი: 577 581 488, ელფოსტა: k.ochigava@ncdc.ge) და ადამიანური რესურსების მართვის და პროფესიული განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს თამარ ჟვანიას (ტელეფონი: 599 251 525, ელფოსტა: t.zhvania@ncdc.ge);
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა იმავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიუთითოს შესაბამისი პირის ვინაობა და წარმოადგინოს მგზავრობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა, შესაძლებლობის შემთხვევაში სამუშაო შეასრულოს დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად.
5. ეთხოვოს ცენტრში მყოფ ყველა პირს, დაიცვას COVID -19 - თან დაკავშირებით ქვეყანაში მოქმედი რეკომენდაციები.
6. შეიზღუდოს სამსახურებრივი მივლინებები, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვავაში, შეთანხმდება ცენტრის გენერალურ დირექტორთან.
7. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე:
ა) გარდა ამ ბრძანების პირველ პუნქტისა, ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა საჭიროებისამებრ განსაზღვრონ საკუთარ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულთა მუშაობის შეღავათიანი განრიგი და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცხობონ ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს კონსტანტინე ოჩიგავას (ტელეფონი: 577 581 488, ელფოსტა: k.ochigava@ncdc.ge) და ადამიანური რესურსების მართვის და პროფესიული განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს თამარ ჟვანიას (ტელეფონი: 599 251 525, ელფოსტა: t.zhvania@ncdc.ge);
ბ) შეიზღუდოს ცენტრში ნებისმიერი საჯარო ღონისძიებების ორგანიზება გარეშე პირთა მონაწილეობით;
გ) ცენტრის ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს:
გ.ა) გარეშე პირთა დაშვებისა და გადაადგილების რეგულირება;
გ.ბ) ცენტრის მიერ დაკონტრაქტებული შპს „სი თი ეს ჯგუფის“ მიერ სველი წესით დალაგების ინტენსივობის გაზრდა.
9. ამ ბრძანების მოქმედების პერიოდში ცენტრში დასაქმებულ პირებს შეუნარჩუნდეთ შრომის ანაზღაურება.
10. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე